

# ବୁଦ୍ଧିମତ୍ତ

ନଂ ୨୦, ୨୦୧୭



# პატარა ბიჭის ლექსი

ჯერ პატარა ვარ, პატარა ბიჭი,  
ღმერთმა მიბოძა მე ქართველობა  
და სიყვარულის უსაზღვრო ნიჭი  
კალთით მაბერტყა და მიწყალობა.  
როს დავიბადე საქართველოში,  
მისი ფერება ვალია ჩემი,  
მეამაყება, მეამაყება,  
ასე ლამაზი, ვით დედაჩემი.  
მალე სკოლაში მიმაბარებენ,  
ვისნავლი ენას სათაყვანებელს,  
დედა ენაო, ჩემო ენაო,  
მოგისალბუნებ, როგორც დედაჩემს.  
ქრისტიანი ვარ, პატარა ბიჭი,  
ტაძარში ხშირად ვეზიარები,  
უფალო ჩემო, მადლობა დიდი,  
დედიკოსავით გეალერსები.  
მადლობა დიდი, მადლობა დიდი,  
შენ, გულო ჩემო, ციცქავ, ფრთხიალავ,  
ამ სამყაროში გამიბი ხიდი,  
აღუვსებელო გრძნობის ფიალავ!  
ჯერ პატარა ვარ, პატარა ბიჭი,  
ღმერთმა მიბოძა მე ქართველობა,  
მან სიყვარულის უსაზღვრო ნიჭი  
კალთით მაბერტყა და მიწყალობა.



მხატვარი  
გიორგი ჩაჩანიძე

ცეც ძამუკაშვილი

## გული ლხენით მევსება

სკოლაში რომ მივდივარ,  
გული ლხენით მევსება –  
რამდენი რამ გვასწავლეს  
მოთხოვბებმა, ლექსებმა.  
ნინაპარი, რამდენი,  
დიდებული გვყოლია –  
თუნდაც დიდი მგოსნები:  
შოთა, დავით, ილია,  
ტატო, ვაჟა, აკაკი,  
გოგლა, გალაკტიონი...  
მათი ლექსი სულ მოსჩეფს,  
როგორც მტკვარი, რიონი.  
სამეგობროდ, სამოყვროდ  
გული გულებს ებმება,  
რამდენი რამ გვასწავლეს  
ჩვენმა მასწავლებლებმა.



ინო მზასელი

# ზარმაცი ნრენენა

სამაგიეროდ, დედა ღელავდა  
ძალიან.

— საშემოდგომო გამოგყვება  
და მერე ნახავ! კაკლუჭის თამა-  
შის ნებას აღარასოდეს დაგრ-  
თავ! — იმ იმედით, რომ დავემუ-  
ქრები, ეგებ მერე მაინც გააპა-  
როს წიგნისკენ თვალიო, ეზოში

მოცუნცულე წრუნუნას სოროს ფანჯრიდან  
ხშირ-ხშირად გასძახოდა, მაგრამ რად გინ-  
და?! პასუხად წრუნუნა ან „გოროლ“-ო ყვი-  
როდა, ან პასი მომეცით, პასიო, გაიძახოდა!

უაზრო ძახილი თავადვე მობეზრდა დედას

— ამისთანა გაუგონართან ჩიჩინს აზრი არა  
აქვს. ვიდრე სირცხვილს არ ჭამს, ჭკუას მა-  
ნამდე ვერ ისწავლის! — უკმაყოფილოდ ჩაი-  
წრუნუნა და დანანებით ჩაიქნია თათი.


— როდემდე გინდა, მაგ კაკალს ბურთივით  
სდიო? დროა, სამეცადინოდაც მოიცალო და  
ბოლოს და ბოლოს გაზეთის ის ნაგლეჯი მაინც  
წაიკითხო, რომელშიც ყველის ნაჭერი იყო გან-  
ვეული! — ხან წარბის შეკვრით და თვალების  
ბრიალით, ხან დაყვავებით და თავზე მზრუნ-  
ველად თათის გადასმით ონავარ წრუნუნას  
ჭკუას არიგებდა დედა, თუმცა კაკლის კენნ-  
ვლით გართულ წრუნუნას სამეცადინო რომ  
ჰქონდა, ეს სულაც არ ანალვლებდა.

## მზია ჩხეტიანი

ბ ა ჯ ი - ბ უ ჯ ი ს კ თ ლ ა შ ი მ ი დ ი ს

ტოროლამ რომ დაპერა ზარი  
და გაიხსნა ზეცის ფარდა,  
— სკოლისაკენ! ჩქარა! ჩქარა!  
ბაჯი-ბუჯიც წამოვარდა,  
აბა, სწრაფად! აბა, მარდად!  
აინვართა, აიმართა...

რა დილაა! ვიშ! ვიშ! ვიშო!  
გადანდალდა სავარჯიშოდ,  
მერე წუთით გაირინდა,  
გადახედა ტყეს და მინდორს,  
მზეს გასძახა აივნიდან,  
მზეო, დილა მშვიდობისო.



ჩაიარეს ბაჭიებმა,  
მიჟყვნენ მელაკუდები,  
ბაჯი-ბუჯმა არ ინება:  
ამათ გამოვუდგები?  
აბა, ჩქარა, ჩქარა, დედი,  
ჩამილაგე წიგნები!  
მე სულ სხვა გზით გავვარდები  
და პირველიც ვიქნები.  
რევავს ზარი, სკოლის ზარი,  
წკრიალებს და წკრიალებს,  
აბა, ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!  
ნულარ დაიგვიანებთ!



ამასობაში დღე დღეს, კვირა კვირას და თვე თვეს მიჰყვებოდა. წრუნუნა იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა, თუმცა კაკლების დევნას არაფრით ეშვებოდა. ასე უსასრულოდ გააგრძელებდა, ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს მეზობელი სოროდან გამოსული ზურგზე ჩანთამოგდებული თვალებფახულა თაგუნა რომ არ დაენახა. მისი ცქერა ერთ რამედ ღირდა. რუს ბენვს ყურებსა და კუდზე შებძული ბაფთა ძალიან უხდებოდა, ისევე, როგორც ნარინჯისფერი ჩანთა, თოვლივით ქათქათა წინსაფარი და კაკაოსფერი კაბა. შარშანდელ ნამცეცა წრუნუნას სულ აღარ ჰგავდა, არდადეგებზე ისე გაზრდილიყო, თვალს ვერ მოსწყვეტდი.

— რადგან ზუსტად ჩემი ტოლია, ორივენი ერთ კლასში ვიქნებით, დავმეგობრდებით, ერთ მერხზე გვერდიგვერდ ვისხდებით. ჩანთის ნაღებაში დავეხმარები. გზაში კატამრომ არ შეაშინოს, სორომდე მივაცილებ ხოლმე... — ამ ფიქრებმა თაგვი ისე გაიტაცა, ნიგნები გულზე მიიხუტა და დანარჩენებთან ერთად სკოლისკენ მიმავალ გზას ამა-

მიბაჯბაჯებს ბაჯი-ბუჯი,  
აუნვდია შავი დრუნჩი...  
უცბად... რაა ესო?  
მაყვლის სუნი მცემსო...  
და მსუნაგმა ბაჯი-ბუჯმა  
მოირბინა მაყვლის ქუჩა...  
გლიჯა, კრიფა, სვლიპა,  
თქვლიფა...  
არ დატოვა ერთი მუჭაც!  
არ ისვენებს, რეკავს ზარი,  
წკრიალებს და წკრიალებს...  
— აბა, სად ხართ? ჩქარა! ჩქარა!  
ნულარ დაიგვიანებთ!



მიდანდალებს ბაჯი-ბუჯი,  
ექაჩება მაყვლის ბუჩქი,  
— ხვდები, რაა ესო?  
— მოცვის სუნი მცემსო!  
ბაჯი-ბუჯი ჩაუქად  
მოცვის ქუჩას ჩაუყვა...  
დრუნჩი აუსვ-გაუსვა,  
კუმპალიც არ გაუშვა.  
კვლავ ასწია დრუნჩი და...  
ახლა: უოლოს ქუჩიდან  
ქარს რა მოაქვს ესო?  
უოლოს სუნი მცემსო!

ყად თავაწეული გაუყვა. თაგუნას რომ შეემჩნია და სხვებისგან ადვილად გამოერჩია, კიბეს, რაც შეეძლო, გაბრექილი აუყვა. ყურადღების მისაქცევად დერეფანშიც ომახიანად იწრუნუნა, თუმცა ამ ყოყლოჩინობამ დიდხანს ვერ გასტანა. როგორც კი ზარის ხმა გაისმა, დოინჯშემორტყმულმა მასწავლებელმა – საკლასო ოთახში შემოდიო – ხელით მოუხმო.

მაშინ კი მიხვდა, დედა რჩევებს ტყუილად არ აძლევდა. შუბლში თათი იტკიცა და თავ-დახრილი საცოდავად მოიპუზა. აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა ამხელა თაგვი ისევ პირველ კლასში, თითისტოლა წრუნუნებს შორის იჯდა. მის დანახვაზე თაგუნამ გულიანად გადაიკისკისა და ცხვირი აუბზუა.

დარცხვენილი თაგუნა სლუკუნ-სლუკუნით უყურებდა ფანჯრიდან, თაგუნა მეზობლის თაგვმა როგორ გააცილა.

ნეტავ, ამდენი თამაშით დრო არ გაეცდინა, ყოველდღე ახალი სიტყვა დაესწავლა, ერთი მაგალითი ამოესხნა ან თუნდაც ბნეარი წაეკითხა, მაშინ ასეთ შავ დღეშიც აღარ აღმოჩნდებოდა.

ოდელია, დელია,  
ჟოლოც გემრიელია,  
ჰოდა, ბარემ ბოლოს  
დავაყოლებ ჟოლოს...  
თავის კანტურ-კანტურით  
ყვავმაც დასცა დასტური.  
ბაჯი-ბუჯიც ჩაუქად  
ჟოლოს ქუჩას ჩაუყვა,  
ერთი ავლა-ჩავლაც და  
აღარ დარჩა წამლადაც!

მაძლარი და კმაყოფილი,  
კენკრის წვენში ამოსვრილი,  
მიდანდალებს ბაჯი-ბუჯი,  
აუნვდია შავი დრუნჩი.  
მიბაჯბაჯებს ღიღინ-ღიღინ,  
უთახთახებს დიდი ღიპი.  
მიდის ყინჩად, მიდის დინჯად  
და ჰა, კლასშიც შეაპიჯა  
და გაისმა კიდეც იმ წამს  
წკრიალა ხმა სკოლის ზარის...

## მხატვარი ნატალია კუცია



## ცა ლამენზემია ლურჯოვალი

მოსალამოვდა, ძილის დრო მოვიდა. თვალები დავხუჭე თუ არა, მაშინვე ცა დამესიზმრა ლურჯოვალია. მზე დიდი სიხარულით შემციცინებდა და მთელ ქვეყანას ათბობდა. ბუნებამ გაიღვიძა, ირგვლივ ყველაფერი გადამწვანებულიყო. შემდეგ მდინარეზე ჩავედი, ის კი ნაკადულივით ხმაურიანად მოჩუბჩუხებდა და თან მზის შუქზე ვერცხლისფრად ბრჭყვიალებდა. ბოლოს მინდორმი გავედი, იქაურობა სხვადასხვაფერი ყვავილით იყო მოქარგული და მათი სურნელი ერთმანეთში ირეოდა. ბალახი ისეთი ფაფუკი იყო, ასე მეგონა, ღრუბელს ვეხებოდი.

გაღვიძება არ მინდოდა, მსურდა, ამ ულამაზეს სიზმარში ჩავრჩენილიყავი და იქ გამეგრძელებინა ცხოვრება, რადგან ყოველდღე სიამოვნება მიმეღლო.


რაღა თქმა უნდა, გამეღვიძა, თუმცა ყოველდღე და ყოველდღამ სიამოვნებას ვიღებ, რადგან დილით ჩემი სიზმარი თვალნინ მიდგას, ღამე კი შევიგრძნობ მას.

### ანი ირევაშვილი V პლასი

სკოლა-ლიცეუმი „პრომეთე“

ბაჯი-ბუჯი გაიბლინძა:  
– მეც აქა ვარ, მოგისწარით!  
ხი-ხი, ხი-ხი! ხა-ხა, ხა-ო,  
კლასი ფეხზე დგას, შეშლილი...  
სად იყავი? დამთავრდაო  
უკვე ბოლო გაკვეთილი!  
არ დაიბნა ბაჯი-ბუჯი,  
აიბზიკა შავი დრუნჩი,  
– აგე! ნახეთ ნობათი,  
მე რომ ჩანთით მოგართვით!


ნობათიო? ნობათად,  
ნეტავი, რა მოგვართვა?  
ეცა ჩანთას თახვი და  
კბილი გაპკრა, გაფლითა.  
– ვაი, ვაი, მიშველეთ,  
დავითხუპნე ლაფითა!  
რისი ლაფით! სავსეა  
ჩანთა კენკრის ფაფითა –  
მწიფე მაყვლის ფაფითა,  
მწიფე უოლოს ფაფითა...



# ბავშვთა



# შემოქმედება



კატო სამხარაძე,  
5 წლის



ელენ შურლულაძე,  
IV კლასი

ეცა ჩანთას ციყვი და ყვირის:  
 – მოცვი ვის გინდათ?  
 – მაყვლის ფაფა ვის გინდათ?  
 უოლოს ფაფა ვის გინდათ?  
 კენკრის წვენით დასვრილმა  
 თახვმაც ჩაიხითხითა.  
 მსუნაგს უოლოს ნაური  
 დასდის ორთავ ლოყაზე  
 და სუყველა გარს უვლის,  
 ლოკავენ და ლოკავენ...  
 ის კი ყვირის: – მიშველეთ,  
 შემჭამენ... მომკლავენ!..  
 – ცოტა კენკრა ჩვენც გვინდა,  
 სარკმელს მოდგნენ თიქნები...  
 ბაჯი-ბუჯი შეშინდა,  
 – არ შეფამოთ წიგნები!  
 მაყვლის წვენში ჩამტკბარი  
 ყდა რომ ჩაახრამუნა,  
 – ზღაპარია, ზღაპარი! –  
 გაიბადრა თახვუნა!

მხატვარი  
თეა მიქაია

ბრძენი მასწავლებელი,  
 ჭრელი ჭოტი, ბებერი,  
 დგას ვეება სათვალით  
 და ბელს ჭკუას ასწავლის:  
 – კმარა ღიპის თახთახი!  
 ტვინი არ გაქვს მაგ თავში?  
 მწიფე კენკრას რა უნდა  
 წიგნებიან ჩანთაში!



# ზღაპრის ნამდვილი გაჟოები

თამარ ჩაჩიძე

## ღიანი, ღრაკონი და თეთრი ჯუჯა ღამურები

გულლია შუშის ბაყაყმა დიანემ და ალის-ფერმა ნემსიყლაპია დრაკონმა მთელი ღამე უცხო ადგილზე გაატარეს, ახლად გამოჩეკილ გულის ფორმის წითელ ლიფსიტებს აკვირდებოდნენ. დიანე თავის ცხოვრებაში პირველად გახდა ამ საოცრების მონმე. შუშის ბაყაყის გულის ფორმის წითელი ლიფსიტები მდინარეში ეშვებოდნენ. ასეთი იყო ამ მოდგმის წესი. ხეზე ასვლას მხოლოდ მოგვიანებით შეძლებდნენ.

დიანეს რაც თავი ახსოვდა, სულ ხეზე ატარებდა დროს. ფოთლებში იმალებოდა და არასდროს ჩნდებოდა. ძალიან გაუმართლა, რომ ბოლოს და ბოლოს ნათესავები გაიცინ. ბევრი საერთო აღმოაჩნდათ გასაზიარებელი და მათგან ახალიც ბევრი ისწავლა.

ამას კი მხოლოდ თავის ერთგულ, გულითად მეგობარს, ნემსიყლაპია დრაკონს უმადლოდა.

ნემსიყლაპია დრაკონმა უცხო მხარეში ერთერთი შორეული გადაფრენისას შუშის ბაყაყების სამყოფელი შენიშნა, მიუახლოვდა მათ, რომ უფრო მეტი შეეტყო და მერე დიანესთვის მოეყოლა.

მოგზაურობიდან სახლში უკან დაბრუნებულმა ეს ახალი ამბავი დიანეს ახარა:

— დიანე, შენ მარტო აღარ იქნები, იმ ადგილს მივაგნი, სადაც შენი ნათესავები ცხოვრობენ.

— როგორ? — გაუკვირდა დიანეს, — შენ რა იცი?

— გორაკს მიღმა გადაფრენისას ნაცნობი სმები შემომესმა, ზუსტად ისეთი, როგორ-საც მე და შენ გამოვცემთ. მაშინვე მივხვდი, რომ შუშის ბაყაყები იყვნენ და იქით გავეშურე. ქორწილი ჰქონიათ და ამიტომ იყო ასეთი ურიამული. მეც შევეხმიანე და მათ თავისთან

მიმიწვიეს. შენი ამბავიც მოვუყევი. ამის შემდეგ ორივე დაგვპატიუეს სტუმრად. წინასწარ უკვე იცოდნენ, რომელ მთვარიან ღამეს გაჩნდებოდნენ მათი ლიფსიტები.

— აუცილებლად უნდა წავიდეთ, მე იმედი აღარც მქონდა, თუ ოდესმე ჩემიანებს შევხვდებოდი, — გაუხარდა დიანეს.

ასე მოხვდნენ დიანე და დრაკონი გაუვალი ტყის პირას, იმ მთის მეორე მხარეს, სადაც მდინარე სათავეს იღებდა და ტბას უერთდებოდა.

დიანეს ახლად გაცნობილ ნათესავებს უცნაურად მოეჩვენათ დრაკონთან მისი მეგობრობა. აქამდე არც ერთ ხის ბაყაყს არ სმენია მსგავსი ურთიერთობის შესახებ. დიანემ თავისი ამბავი მოუყვა მათ, რომ ყოველთვის მარტო იყო და საკუთარი მოდგმის არავინ იყო მის ახლოს. რადგან ქომაგიც არ ჰყავდა, სულ ეშინოდა და ხის ფოთლებში იმალებოდა. ერთადერთი, ვისთანაც საერთო ენა გამონახა, სწორედ ნემსიყლაპია ცეცხლისფერი დრაკონი აღმოჩნდა. ორივე ერთ ენაზე საუბრობდა და კარგად უგებდნენ ერთმანეთს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ორი განსხვავებული არსებისთვის. მას შემდეგ, რაც ნემსიყლაპია და ბაყაყი დამეგობრდნენ, ერთმანეთისგან განუყრელები გახდნენ.

— დიანე, ჩვენი წასვლის დროა, — უთხრა დრაკონმა, — სანამ გათენდება, მოდი, გზას დავადგეთ.

— კარგი, წავიდეთ, — დაეთანხმა დიანე და წყლის პირს გაუყვნენ.

მდინარის ზედაპირი ლივლივებდა და სარკესავით ირეკლავდა მთვარეს და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას.



ამასობაში წვიმა წამოვიდა. მდინარის ტალღების აჩქარებული ნაკადის ხმაური გაძლიერდა. წვიმა გადაღებას არ აპირებდა, დიანემ და დრაკონმა თავი ფართო ფოთლებს შეაფარეს, რომლებიც იქვე აღმართული ხიდან დაბლა მიწამდე ეშვებოდა. ამასობაში გათენდა, მზემ გამოანათა და სინათლის სხივებმა მწვანე ფოთლებშიც კი შეაღწია.

დიანემ ფართო ფოთლებს ქვევიდან ახედა და ერთმანეთთან ჩახუტებული რამდენიმე თეთრი ბამბის ქულასავით ფუმფულა პაწაწინა არსება დაინახა, რომლებიც ბაბუანვერას ყვავილებს ჰქონდნენ.

— თქვენ ვინ ხართ? აქ საიდან გაჩნდით?

— ჩვენ თეთრი ჯუჯა დამურები ვართ. ცეროდენა, ციცქნა, ცუცქნა, ცუნცულა, ფუმფულა, ცხვირპაჭუა და ციდა დაგვიძახეთ. დღისით თავს ვაფარებთ ამ ფართო ფოთლებს, რომელსაც სახლად ვიყენებთ, — აუხსნა ცეროდენამ.

— ხედავთ, დაბლა როგორ დავხარეთ კარავივით, ჩვენი გაკეთებულია, რომ არავინ შეგვამჩნიოს და კარგად დაგვიფაროს, — სიამაყით წარმოთქვა მათში ყველაზე უფროსმა, რომელსაც სახელად ცხვირპაჭუა ერქვა.

— როცა მზის სინათლე ატანს ამ ფოთლებში, თქვენც თითქოს მწვანე ფერის ხდებით? ვეღარც კი გხედავთ, სულ არ ჩანხართ, თანაც, რა პატარები ხართ! ისევე, როგორც მე და დრაკონი. მოდით, ვიმეგობროთ! — შესთავაზა დიანემ.

— ამას რა ჯობს! ჩვენ არავის ვერჩით, არც მწერებს და არც

სხვა სულიერ არსებებს, როგორც ზოგიერთი ლამურა. ჩვენც ხილის ნექტარს ვენაფებით და მხოლოდ ამით ვსაზრდოობთ. ისე გვიყვარს ხილი, რომ ცხვირ-პირი სულ მოსვრილი გვაქვს და ასე მოგვწონს კიდეც, — გათამამდა ერთი ციდა ლამურა.

— მართლაც გიხდებათ ყვითელი ფერი, მეც მომწონს, — საუბარში ჩაება დრაკონი, — ჩვენც თქვენთან ერთად გავატარებთ ამ დღეს თქვენი კარვის ქვეშ და მერე დამით სახლში დავბრუნდებით.

დრაკონი და დიანე თეთრ ჯუჯა დამურებთან ერთად ეფარებოდნენ ხის ტოტებს, რომლებსაც ძალიან ლამაზი ყვავილები ჰქონდა. დრაკონმა ყველა მათგანი სათითაოდ მოინახულა, ახლოს მიფრინდა და გვერდზე დაუსკუპდა.

— ნახე, როგორ ჰგავხარ ამ ყვავილებს, ფორმითაც და ფერითაც, ვერავინ მოგაგნებს და ადვილად დაიმაღები, — დრაკონის უცნაური მსგავსება მაშინვე შეამჩნია ფუმფულამ. დიანე კი გამჭვირვალე იყო და ამიტომ ისედაც ვერავინ ვერასდროს ამჩნევდა.

მეგობრებმა უსაფრთხოდ გაატარეს მთელი დღე ახალ ნაცნობებთან ერთად. როცა მოსალამოვდა, თეთრი ჯუჯა დამურები გამოემშვიდობნენ მათ და სახლში მშვიდობით დაბრუნება უსურვეს, თვითონ კი ხილის საჭმელად გაფრინდნენ.

დიანე და დრაკონი გაემართნენ თავიანთი სახლისკენ, რომელიც მთის მეორე მხარეს, მდინარის შესართავთან იყო. ბედნიერები და კმაყოფილები იყვნენ იღბლიანი მოგზაურობით.



# თეთრი ჯუჯა მძმენი



კოსტა რიკას ტყე-  
ლამურა სხვა დამურებს არ ჰგავს  
- ის არც გამოქვაბულებში ბინადრობს  
და არც მურა-შავი ფერისაა. სხეული თე-  
თრი ქათქათა ბეწვით აქვს დაფარული,  
ფოთლის ფორმის ცხვირი და ყურები  
ყვითელი აქვს, ფრთები კი - შავი.

დღისით, როცა მზის სხივები ფოთლებში აღწე-  
ვს, ჯუჯა ლამურების თეთრი ბეწვი მწვანე ფერს  
ირეკლავს, ამიტომ ისინი თითქმის უხილავი  
ხდებიან და კარგადაც ინილბებიან.



ჰონდურასის თეთ-  
რი ლამურა ერთი ციცქა  
უწყინარი არსებაა, ის მხოლოდ 6  
გრამს იწონის. მისი სხეულის სიგრძე  
4-5 სმ-ია, როცა ფრთებს გაშლის,  
10 სანტიმეტრს აღწევს.

თეთრი ლამურების თავშესაფარს - ჰე-  
ლიკონიას - ლამაზი კაშკაშა ყვავილე-  
ბი აქვს: ნარინჯისფერი, მენამული,  
ნითელი, ყვითელი, ვარდისფერი... ეს  
ყვავილები სინამდვილეში სახეც-  
ვლილ მცენარის ყლორტია.



თეთრი ლამურები  
გავრცელებული ყვავილოვანი მცენარის  
ფოთლებისაგან იკეთებენ. ამ მცენარეს  
ჰელიკონია ჰქვია. ლამურები ფოთლის ძარღვებს  
გადაღრღნიან, რის შემდეგაც ფოთოლი ტენტი-  
ლის ქვეშ რამდენიმე თეთრი ლამურა  
ერთად ცხოვრობს.

ჯუჯა ლამურები ფიკუსის ნაყოფით იკ-  
ვებებიან. ეს ლელვისმაგვარი ხილი ტრო-  
პიკული ტყეების მარადმწვანე მცენარის  
ნაყოფია და თეთრ ლამურებს განსაკუ-  
როებით უყვართ.

## პურთი და კომპიუტრი

ბურთი უტევს კომპიუტერს...

რად ჯავრობს და რას ბუტბუტებს?

– თავი გგონია უმტერო,

ოთხკუთხა კომპიუტერო?!

აბა, დაფიქრდი, რას შვები,

რომ ჩაგიბლუჯავს ბავშვები,

თვალებს მაცდურად აცეცებ,

თავზე ხვევ ფერად საცეცებს!..

ტყე მწვანით გადაინისლა,

ყვავის ატამი და ნუში,

ახსენი ბავშვებს თილისმა,

ზოგჯერ ეზოშიც ჩაუშვი!

– გაბერილო და ტრაბახავ,

პასუხის ღირსიც არა ხარ,

თუმც ტყავი გმოსავს მდიდრულად,

თავში ჰაერი გიბრუნავს,


გჯობია ჩემი მაუსი,

აბა, აქედან აუსვი!



– მე წავალ, მაგრამ ამ ბავშვებს  
თუ არ მიხედეს დიდებმა,  
დღედაღამ შენი ყურებით  
თვალები დაებინდებათ.  
მოეღვენთებათ სხეული,  
ფიქრები დაუმძიმდებათ,  
ფერად სიზმრების სანაცვლოდ  
კოშმარი დაესიზმრებათ.

მხატვარი  
მალხაზ კუხაშვილი



მწერალი ვასილი კარისტი (ხარისჭირაშვილი) 1938 წელს დაიბადა საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში. მშობლები, თამარ ჯაველიძე და დავით ხარისჭირაშვილი, ქართველი ემიგრანტები იყვნენ. ვასილი კარისტმა სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დამთავრა. პიესებისა და რომანის გარდა, ის არის რამდენიმე საბავშვო წიგნის ავტორი. უურნალი „დილა“ გთავაზობთ მწერლის საბავშვო სერიის „შიკოლეტისა და ღადიდუს“ პირველ ნაწილს და ქართველ ბავშვებს გადმოგცემთ ვასილი ბაბუს მოკითხვას და კეთილსურვილებს პარიზიდან.



ვასილი კარისტი

## შიკოლეტი რა რარიუ ტუში მირიან



ტორმენტინების ოჯახში იმ ღამეს ყველას უნდა სძინებოდა, ყველაზე ტკბილად კი ორ პატარას – უსაყვარლეს ბაჭიკუდებს, შიკოლეტ-გოგოს და ღადიდუ-ბიჭს (ეს სახელები „სალათუნას“ და „ბოლოკას“ ნიშნავს). თუმცა სიცხეც და სავსე მთვარის კაშკაშიც ისევე აფხიზლებდა მათ, როგორც ერთი საიდუმლო და სახიფათო გეგმა. შიკოლეტი საწოლიდან წამოიწია და ტყუპისცალს კინკრიხოზე მოუღიტინა: – ღადიდუ, გძინავს?

– მშვენივრადაც მეძინებოდა, ვიღაცის ღუტუნი რომ არ მიშლიდეს ხელს.

– როდის წავალთ?

– ჯერ არა. მეძინება, მაცადე, – ზურგი შეაქცია დაიკოს და თავი თათებში ჩარგო.

– რა საძაგელი ხასიათი გაქვს. რაკი ასეა, მარტო წავალ. წახვამდის! – ის იყო, ფანჯრიდან ბაღში უნდა ესკუპა, რომ ღადიდუ წამოხტა და დაიკოს საღამურში სწვდა. – ახლა დაწექი. გპირდები, ხვალ წავალთ!

– შეიძლება, შენს ლოგინში დავწვე? მე-შინია.

– დაწექი, თუ ხმას არ ამოიღებ.

ღადიდუმ ისევ ჩარგო თავი თათებში, გრძელი ყურები თვალებზე გადმოიკეცა და მალე ტკბილი ფშვინვაც ამოუშვა.

შიკოლეტს კი არ ეძინება, ზურგზე წევს თვალდაჭყეტილი და ხედავს, როგორ მიდის იმ დიდ, ბნელ ტყეში, ბავშვებს რომ სასტიკად ეკრძალებათ შესვლა.

შიკოლეტის და ღადიდუს მშობლიური სოფელი, კურდღელიაკი, მაღალი გორის წვერზე მდებარეობს და საფრანგეთის ულამაზეს ხეობას დაჰყურებს. ნაცრის-ფერი, თეთრი და ყავისფერი კურდღლები, რომლებსაც ბედმა ამ სამოთხესავით ლამაზ კუთხეში ცხოვრება არგუნა, თითქმის სრულყოფილ ბედნიერებას განიცდიან და ტკბებიან სიცოცხლით, მით უფრო მას მერე, რაც მათი „მომაკვდინებელი მტრისა“ აღარაფერი ისმის.

მტერი, ჯერ რომ თვალით არავის უნასავს, შვიდი საუკუნის წინათ შემოსჩვევია სოფელს. გაუფრთხილებლად მოდიოდა ღამით და ორ-სამ კურდღლელს იტაცებდა. მათი კვალი სამუდამოდ უჩინარდებოდა. წარმოგიდგენიათ, რა საშინელება იყო კურდღლების ცხოვრება, შვიდასი წელი განუწყვეტელ შიშსა და კანკალში რომ გადიოდა?! რატომ უნდა ყოფილიყვნენ სამალავში მუდმივად? იმიტომ, რომ უხილავ მტერს არ ჩაეხრამუნებინა ისინი.



უკანასკნელი მსხვერპლი მაღლიკოლნ ტოლ-მენტინი იყო. იგი შიკოლეტის და ლადიდუს პაპის პაპის პაპის ძმა გახლდათ. ეს ბატონი ყოფილა სოფლის თავკაცი და რნმუნებული. ყველაზე მხიარული და თავდადებული რაინდი მთელ მოდგმაში, ვინც კი კურდლელთა ხსოვნას შემოუნახავს. მისი თანდასწრებით ნებისმიერი ჩხუბი, უთანხმოება და გაუგებრობა უმალ გვარდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, ამ ორმოცდათოდე წლის წინათ, უეცრად ისიც გაქრა. მისი კეპი, მონოკლი და დოლი მუხის ძირში ეპოვათ უღრანი ტყის პირას. ცხადია, ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ არც ერთ კურდლელს აღარ გაურისკავს უსიერ ტყეში შესვლა, ტყეში, სადაც ქარიც კი ჩვეულებრივად როდი უბერავს – გმინვით ღმუის და მოთქვამს.

სოფლის მოედანზე, კარგა ხანია, აღუმართავთ თავდადებული მაღლიკოლნის ძეგლი წარწერით „მაღლიკოლნს საუკუნოდ მადლი-ერი თანამოქალქებისგან“. სოფლის მერს მიაჩნდა, და ალბათ არც მთლად უსაფუძლოდ, რომ მაღლიკოლნმა თავი გასწირა მოყვასი კურდლების გადასარჩენად. მართლაც, მისი გაქრობის შემდეგ სოფელმა ამოსუნთქა. ირგვლივ სიმშვიდემ და კეთილდღეობამ დაისადგურა და მტერიც აღარ გამოჩენილა. ამის მიუხედავად, კურდლები მაინც გამუდმებით ფიქრობდნენ უხილავ მტერზე. გინდა – არ გინდა, უნებურად ეფიქრებოდათ. იხსენებდნენ და წარმოიდგენდნენ მას ხან ძალიან ველურ, ბარბაროს ადამიანთა მოდგმიდან, ხან სასტიკი მხეცებისა და მტაცებლების დინასტიიდან. იდუმალებით მოცული მტერი კი დღემდე რჩებოდა უჩინარ არსებად. ერთადერთი, რაც სოფელში მასზე ზუსტად იცოდნენ: „ის“ წამდვილად ზედმეტად იყო დაინტერესებული კურდლებით!



**13**

შიკოლეტმა და ლადიდუმ გადაწყვიტეს, ამოესნათ უხილავი მტრის საიდუმლო, ისე, რომ ამ ამბისა მშობლების ყურამდე წიავსაც კი არაფერი მიეტანა. ბაჭიკუდა ტყუპებმა ისარგებლეს, რომ მამა ტორმენტინი სტაფილისა და ძირტებილას კრეფით იყო გართული, დედას კი მორიდან შესძახეს, მინდორში მარწყვის მოსაკრეფად მივდივართო. მადამ ტორმენტინმა, სალბის ჩაის რომ სვამდა ორ მეგობარ ქალბატონთან ერთად, კატეგორიულად გააფრთხილა შვილები, ბნელი ტყის მხარეს არ წასულიყნენ, და ჩაის სმა განაგრძო.

– გიუები კი არ ვართ! – ამაყად გაეპასუხა ბაჭო-გოგო.

– მეტიც, ზედმეტად ჭკუადამჯდარი ბაჭიკიები გახლავართ! – დაამატა ბაჭო-ბიჭმა.

უკვე კარგა ხანია, რაც ლადიდუ და შიკოლეტი ბნელ, უსიერ ტყეში მიაბიჯებენ. ისე ბნელა, როგორც სოროში და უცნაური ხმებიც გაისმის. დადიდუ დაიკოს თათში ჩაფრენია.

– ძალიან მეშინია, – ცახცახებს შიკოლეტი.

– აქ ვარ, წურაფრისა გეშინია! – ამშვიდებს დადიდუ.

– სულაც არ მეშინია, სულაც არ მეშინია! – კანკალებს ბაჭო-გოგო.

უცებ ბაჭიკიების წაგრძელებულ ყურებს სვრეტს ხრინწიანი ხვრინვის ხმა. უზარმაზარი ბუჩქი, შვიდჯერ მაღალი კურდლებზე, შეზანზარდა და მძიმედ გამოსწია მათკენ.

და აი, გამოჩნდა ქერცლითა და გრძელი ბენვით დაფარული გიგანტური, წაგრძელებული თავი ვეებერთელა ნითელი თვალებით. ტყუპები თითქოს ადგილზე მიალურსმა ვილაცამ. გაქვავდნენ და თვალები მაღლა აღაპყრეს, მხეცისკენ.

– დავილუპეთ, – წაიჩურჩულა ლადიდუმ, – ეს წამდვილად გოლიათი კვერნა!

მართლაც, ბაჭიკიების წინ პრეისტორიული ურჩხული აღიმართა. ეს საძაგელი მხეცი ტირანოზავრების შორეული წინაპარი უნდა ყოფილიყო. ტირანოზავრების, ანუ დინოზავრებს შორის უსაზარლესის წინაპრის, სისხლისმსმელი მტაცებლისა. ეს კია, ლადიდუს ეს ვერ ცოდნებოდა – ის თანამედროვე ბავშვი როდი იყო, რომელმაც ყველაფერი იცის დინოზავრებზე. და აი, ურჩხულის თვი გრძელი კისრის ბოლოში გამოქვაბულის ხმით აღაპარაკდა. ზუსტად ისე, მასწავლებელი რომ ანაწევრებს სიტყვებს კარნახისას:

– ა-რა-ფე-რი გე-მუ-ქე-ბათ, ა-რა-ფე-რი. დამ-შვიდ-დით, ა-ღარ მაქვს კბი-ლე-ბი. აი, ნა-ხეთ!

და უზარმაზარი, გამოქვაბულის მსგავსი კბილებჩაცვენილი პირი დააფრინა, საიდანაც გამონასუნთქის ცხელი ოხშივარი გამოიფრქვა და გამოჩნდა იასამნისფერი ენა, გრძელი, გრძელი, გრძელზეც გრძელი...



– მას შემდეგ, რაც შვიდი საუკუნის წინათ უკანასკნელი კბილებიც დამცვიდა, ვეგეტარიანელი გავხდი. ამან გუნებასთან ერთად გემოვნებაც შემიცვალა.

– ძალიან ლამაზი ხმა კი გაქვთ, – წამოიკნავლა შიშით გულის წასვლამდე მისულმა შიკოლეტმა.

– ასე ფიქრობთ? მართლა? როგორი თავაზიანი ხართ. ესე იგი, აღარ გაშინებთ?

– ვალიარებთ, – ამბობს ლადიდუ და ცდილობს, ამოსუნთქოს. – იმდენად გავხართ გოლიათ კვერნას, ცოტა ეჭვი გვეპარება, ბოლომდე ვერც გენდობით.

– ეს იმიტომ, რომ მე მონსტროზავრი ვარ, – ამბობს მხეცი დაბალი ხმით, – დედამინაზე შემორჩენილი ერთადერთი ეგზემპლარი. ეს მე ვარ ის დიადი მრისხანე კვერნა,

თქვენს წინაპრებს რომ აწიოკებდა. მე გახლავართ წინაპარი ყველა იმ ტაკიმასხარა ქრცვინისა და კვერნასი, თქვენ რომ ასე გეშინიათ. თუმცა სულ ტყუილად მიფრთხით. მე კურდლები ჩემიანებად მიმაჩნიარო, თქვენთვის სიკეთე მსურს. ძალიან მომწონხართ. კურდლები საუკეთესოდ მართობდნენ ადრე. თქვენ პირველი ბაჭიკი ხართ, ვისაც მთელი ორმოცდათი წლის მერელა ვხედავ თვალით. ხო, უკვე ორმოცდათი წელია, რაც უარი ვთქვი მათთან მეგობრობაზე.

– ორმოცდათი წელიო ამბობთ, ესე იგი, ეს თქვენ მოიტაცეთ და გადასანსლეთ ჩვენი ბიძა მაღლიკოლნი? – წამოიძახა შიკოლეტმა.

– მე გადავსანსლე ძვირფასი მაღლიკოლნი? რა საშინელებას მწამებთ?! შვიდი საუკუნის განმავლობაში, რაც კბილები დავკარგე, არც ერთი კურდლებისთვის ხელი არ მიხლია. მე იმდენად მიყვარს მათი კამპანია. მათ ვევრდით თავს ყოველთვის ბედნიერად ვგრძებდი.

– კი მაგრამ, თქვენ ხომ ის ხართ, ვინც კურდლებს დაუნდობლად იტაცებდა, ვინც უბედურებას თესდა ჩვენს სოფელში, ვინც გვდევნიდა?

დიადმა მრისხანე კვერნამ თავი დახარა:

– მართალია... შემინდეთ... ვალიარებ, რომ გაგაუბედურეთ. შვიდი საუკუნის განმავლობაში უთვალავი კურდლელი მოვიტაცე. ძალიან ვწულევარ.

– მეზიზლებით! – იყვირა შიკოლეტმა.

კვერნა ტყუპების წინ დანაშაულში გამჭერილი კუდამოძუებული ძალივით განვადა და მსხვილი ცრემლებისგან გუბე დააყენა. შიკოლეტსა და ლადიდუს თათებიც კი გაულუმპა გუბემ.

– ეჳ, რომ იცოდეთ... – ამოიხვენეშა ბებერმა მხეცმა.

**14**

- ზუსტად მაგიტომაც მოვედით, რომ  
ბოლოს და ბოლოს გავიგოთ, რა ხდება!  
- თქვა შეუვალი იერით და მკაცრი ხმით  
ლადიდუმ, კუნძზე მოკალათდა და დაი-  
კოც მუხლებზე დაისვა. – აბა, გისმენო!

- აი ჩემი თავგადასავალი: არ მყავს  
ოჯახი, არც მამა, არც დედა, არც და,  
არც ძმა, არც ცოლი, არც შვილები...  
ერთადერთიდა ვარ ჩემს სახეობაში.  
მარტოდმარტო ვარ, სულ მარტო, – ისე  
ძლიერად აქვითინდა, რომ კუნძმაც კი, რო-  
მელზეც და-ძმა ისხდა, კანკალი დაიწყო.

– მისჯილი მაქვს, ვიცოცხლო იმდენ ხანს,  
რამდენ ხანსაც ეს გორა, ეს მდინარე, ეს სო-  
ფელი და თავად დედამიწაც იარსებებს. უფ-  
რო გასაგებად რომ ვთქვა, მე უბადრუკი უკ-  
ვდავი ვარ.

– უკვდავი? – წამოიძახა შიკოლეტმა – ეს,  
ალბათ, შესანიშნავია!

– არც იმდენად. რაც კბილები დავკარგე,  
ვეღარც ვნადიორბ. ნადირობისას დრო ისე  
გადიოდა, ვერც კი ვგრძნობდი.

– ამბობთ, რომ ალარ ნადირობთ, მაგრამ,  
აბა, კურდლებს რატომლა იტაცებდით?

– მოწყენილობისგან. მას შემდეგ, რაც  
კურდლებს ალარ ვსასასლავდი, კარგად გა-  
ვიცანი და აღმოვაჩინე, რომ გასაოცარი მე-  
გობრები ყოფილან. ყველაფერი გამოსდით  
და ეხერხებათ: სურნელოვანი ბალახების-  
გან წვინის მომზადება, თამაში „ცივა-  
ცხელა“, გაუგონარი ხუმრობა და მასხრობა.  
სურდონანსაც საუცხოოდ მივლიდნენ, მე  
ხომ ძალიან სუსტი ყელი მაქვს და რაც მთა-  
ვარია, ისეთ ამბებს ჰყენებოდნენ, რომელთა  
მოსმენა არასოდეს მბეზრდებოდა:

„წითელკურდლელა“, „მარკიზ დე კურ-  
დლელა“, „ბაჭი-ფიფეია და 7 ჯუჯა ბოცვე-  
რი“, „ჩექმებიანი ყურცევიტა“... ახ, რა კარგი  
დრო იყო, – სლუჟნით ამოიხვნეშა ცრემლ-  
მორეულმა მხეცმა.



– ალბათ, თქვენთვის, თორემ ჩვენთვის და  
ჩვენი ბიძაშვილი კურდლებისთვის ეს სა-  
შინელი დრო იყო.

– სწორედ ეგ გამაგებინა ბიძათქვენმა მა-  
ლიკოლნმა. ის ისეთი ლირსეული კურდლელი  
იყო, შემრცხვა ჩემი ეგოზმისა და პატივ-  
მოყვარეობის. მას საზეიმოდ შევფიცე, რომ  
კურდლელთა მოდგმას არასდროს დავჩაგ-  
რავდი. შევპირდი, რომ შევეგუებოდი ჩემს  
სიმარტოვესა და უსაზღვრო მოწყენილობას.

დაფიქრებულმა ლადიდუმ ჩაილაპარაკა,  
ეს, ალბათ, იოლი არ უნდა იყოსო. მეტიც,  
ალბათ, ძალიან ძნელიც კიაო.

– მით უფრო, რომ ეს ათობით, ასობით,  
ათასობით საუკუნე გაგრძელდება... – უპა-  
სუხა დიადმა მრისხანე კვერნამ.

შიკოლეტს ცრემლით აევსო თვალები, –  
ხომ არ შეგვიძლია, რიგორმე დაგეხმაროთ?

– ძალიან მინდა, ისევ მყავდეს საყვარელი  
კურდლები, მაგრამ ვიცი, რომ ეს შეუძლე-  
ბელია.

ლადიდუ და შიკოლეტი ერთდროულად წა-  
მოხტნენ კუნძიდან და ერთდროულად შეს-  
ძახეს – მოვიფიქრე!

შელამებულზე კურდლების ბატალიო-  
ნი ტყისპირს მიადგა. ლამპრებითა და სანა-  
თებით შეიარაღებულ ჯგუფს წინ ტყუპების  
მშობლები მიუძღოდნენ. ერთმა ყოჩადმა და  
დაკვირვებული თვალის პატრონმა ბაჭიამ,  
სახელად ფრიმუნებ, შიკოლეტის ჩა-  
ლის შლაპა და ლადიდუს კოპლე-  
ბიანი ყელსახვევი მუხის ძირას  
იპოვა. ისინი და-ძმას ტყეში შეს-  
ვლისას დაეტოვებინათ, იმ შემ-  
თხვევისთვის თუ...

ამის შემხედვარე კურდ-  
ლებმა საზარელი ყვირილი  
მორთეს. იფიქრეს...



– შევიდეთ! – თავდაუზოგავად შესძახა  
ფრიმუნებ.

– ჩვენი სიკვდილი მოგნატრებია, ავად ხომ  
არა ხარ?! – დაუყვირეს აქეთ-იქიდან.

– არა, ძალიან კარგად ვართ, ძალი-  
ან! – გაისმა ორი ნაცნობი ხმა. გა-  
ოცებულმა და დაზაფრულმა კურ-  
დლებმა უკან დაიხიეს და დაინა-  
ხეს დიადი მრისხანე კვერნა, რომელიც  
სპილოს დიდებულებით მოაბიჯებდა, ზურგ-  
ზე კი შიკოლეტი და ლადიდუ შემოესვა.

– ყველანი სოფლის მოედანზე შეიკრიბეთ!  
უნდა წარმოგიდგინოთ ჩვენი საყვარელი  
პანტელეონი. ასე ჰქვია მას, ვისაც მხოლოდ  
სიკეთე სურს ჩვენიანებისთვის!

– ერთი მაგასაც ვნახავთ, ვინა ბრძანდება  
ეგ თქვენი პანტელეონი, – ეჭვით ჩაილაპა-  
რაკა ფრიმუნმა და ულვაში ააცმაცუნა. მაგ-  
რამ კიდეც წახა და თვალებსაც არ დაუჯერა!

ის დღე იყო და ის დღე. სოფელი აშენდა,  
აყვავდა, გაძლიერდა. სასიკეთოდ მოუბრუნ-  
და ყოველი წუთი. პანტელეონი ერთად მიდ-  
გმულ სამ სახლში დაასახლეს. აქედან ორი  
იყო სხეულისთვის, ერთი – წაგრძელებული  
თავისთვის, სახურავიც მოძრავი ჰქონდა.

მთელი მსოფლიოდან მოსულ კურდლელ  
ტურისტებს, ვარდისტერ ფლამინგოებსა  
და წეროებს რომ მოჰყავდათ კურდლელიაკ-  
ში, პანტელეონი დაუსრულებლად აღუწერ-  
და თავის საუკუნო ცხოვრებას, უყვებოდა  
მონსტროზავრის წარსულს. ეს ამბები ყვე-  
ლა მსმენელს აჯადოებდა და რაც მთავარია,  
თავად მთხოობელს არასდროს ბეზრდებო-  
და ამ ამბების კიდევ ერთხელ და მეათას-  
ეჯერ მოყოლა.



ბაჭიებიც ჰკუას კარგავდნენ ამ ამბების  
დაუსრულებლად მოსმენაზე. ერთი გენა-  
ხათ, როგორ ეურჩებოდნენ მშობლებს, რო-  
ცა ისინი შინ მოუხმობდნენ.


მერე ყველას თავიანთ სახლებში გაის-  
ტუმრებდნენ და სოფელშიც სიწყნარე გა-  
მეფდებოდა, პანტელეონი ფანჯრის რაფაზე  
ჩამოდებდა თავს, გაჰყურებდა გარემოს და  
ტკბებოდა ბედნიერებით.

ლადიდუ და შიკოლეტი „გრძელბაჭიეუდო-  
ბას“ თამაშობდნენ, მამა ყალიონს ეწეოდა,  
დედა ჯვრული სითვით ქარგავდა ბიძია მა-  
ლიკოლნის პორტრეტს.

– ასეა... სიმარტოვისთვის არც ადამიანე-  
ბი შექმილან, არც კურდლები, – ფიქრობ-  
და პანტელეონი, – დინოზავრები ხომ, მით  
უფრო...

თარგმნეს  
მარიამ წილაურმა და  
თამარ ჯაყალა  
(გამომცემლობა „პიპპა“, პარიზი, 2007 წ.)

მხატვარი  
ორელი ნედელევი



## ბებო დათვის დარიგება

სოფლის ბოლოს, ტყეში,  
ტკბილად, დაბალ ხმაზე,  
ბებო დათვი შვილიშვილს  
არიგებდა ასე:

— ვერ გავიგე, რას ამბობ,  
რას ბურდღუნებ, დათუნი.  
რატომ არ გსურს, ისნავლო  
მშობლიური ქართული?  
მალე დედა გახდები,  
არ შეგშვენის წანწალი,  
თუ წიგნს არ წაიკითხავ,  
შვილებს როგორ ასწავლი?  
თუ გსურს, მთელ სადათვოში  
იყო მართლაც ქებული,  
თავად უნდა ეცადო,  
იყო განათლებული.

იბეჯითე, იშრომე.  
რით ხარ სხვაზე ნაკლები?  
მინდა, კარგად ისწავლო  
ლექსები და ზღაპრები...  
ბებოს გული გენაცვალოს,  
ნულარ მექამათები.  
ტყეში არ შეიძლება  
უწიგნური დათვები.  
უამრავ წიგნს გიყიდი,  
ჩემო კარგო დათუნი,  
ოლონდ შენ ისაუბრე,  
ჩვენი წმინდა ქართულით!

მხატვარი  
გიორგი ჩაჩანიძე

დალი მაზმიშვილი



## გრეორგები

მრგვალია და ძირს ბადე აქვს,  
არც მკა უნდა, არც ცელი,  
ფუმფულა პურს ის გვიმტკიცავს,  
რა ერქმევა? .....

გადაჭამა ბოსტნეული,  
სამკალზედაც კვალია,  
მწვანე მხრებს და ფეხებს ვერ ღლის  
ღორმუცელა .....

ყელამდე მინაშია და  
წლებიც უთვლია ბევრი,  
თიხისგან ნაკეთებია,  
ღვინის ჭურჭელი — .....

# ეპითება და კორვებე...

შენ, ალბათ, ბევრჯერ ყოფილხარ ტურისტულ ლამექრობაში მეგობრებთან ერთად, გიმგზავრია მანქანით, მატარებლით, გემით, მაგრამ ყოფილხარ მიწის ქვეშ – ბუნების იდუმალ სამყაროში? დამტკბარხარ ბუნების განუმეორებელი ნახელავის ცქერით? გინახავს თოვლზე უთეთრესი ქვის ყვავილები და ფარდები, ქვის „ტყეები“, ქვისა და ყინულის ლოლუები, ჭერიდან ჩურჩხელებივით რომ ეშვებიან? გადაგიცურავს მიწისქვეშა მდინარეები და ტბები? დაკიდებულხარ თოკით შავხახადაღებული უფსკრულის პირზე, რომელში ჩაგდებული ქვაც დიდხანს მირახრახებს სიცარიელეში და ბოლოს სადღაც ჩაიკარგება?

თუკი ყოველივე ეს გაინტერესებს და არ გემინია, მაშინ სამოგზაუროდ მოემზადე. ოღონდ, სანამ მოგზაურობას შეუდგებოდე, კარგად უნდა ივარჯიშო, შეისწავლო ბაგირზე გადაადგილება, ცურვა, ყვინთვა, კლდეზე ცოცვა. ყოველივე ეს მიწის ქვეშ აუცილებლად გამოგადგება. პირველ ყოვლისა, უნდა დაძლიო სიბნელის შიში, რადგან მღვიმებს ძლიერ უყვართ შეშინება, განსაკუთრებით – ახალბედებისა. აქ პატარა ნაპრალი უზარმაზარ სიღრუედ მოგეჩვენება, ორმო – უძირო უფსკრულად, დარბაზი კი ისეთ სიცარიელედ, რომელსაც არც ჭერი აქვს და არც კედლები. მღვიმეში ხშირად არარსებული რამ მოგეჩვენება. ზოგჯერ სწორედ ის მოგელანდება, რაც ყველაზე მეტად გაშინებს. ამიტომ უნდა დაძლიო სიბნელის შიში და ყური შეაჩვიო სიჩუმეს, უნდა ისწავლო სიჩუმის მოსმენა.

მიწის ქვეშ მოგზაურობისას უნდა იქნიო თოვეის კიბე კერტიკალური მონაკვეთების დასაძლევად, რეზინის ნავი – მდინარეებისა და ტბების გადასაცურად; მშრალად შენახული ნათურების მარაგი, ვინაიდან მიწის ქვეშ ძლიერი სინესტეა და ნათურა ხშირად გამოდის მწყობრიდან, განათების საშუალება კი სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან იქ ისე ბნელა, რომ თვალთან მიტანილ თითსაც ვერ დაინახავ.



იქ ნამდვილი უკუნეთია, მარადიული წყვდიადის სამეფო. სამაგიეროდ, თუ მიწის ქვეშ სამოგზაუროდ გულდასმით მოემზადები, ნანახითა და განცდილით უთუოდ კმაყოფილი დარჩები. რას არ ნახავ იქ: ვრცელ მიწისქვეშა დარბაზებსა და დერეფნებს, წყლით სანახევროდ ამოვსებულ გვირაბებს, რომელშიც ნავით გაისეირნებ, ქვის ჩურჩხელებსა და კელაპტრებივით აღმართულ სტალაგმიტებს, მოგუგუნე ჩანჩქერებსა და მომწვანო-მოშავოდ აფერადებულ უძირო ტბებს, ჭერზე ცაცებით თავდალმა ჩამოკიდებულ ღამურებს, მშრალ გუბურებში მიმობნეულ მღვიმურ მარგალიტებს... მღვიმის შესასვლელთან კი – კაცობრიობის შორეული წინაპრის – პალეოლითელი ადამიანის ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის ამსახველ საგნებსაც შეიძლება წააწყდე.

ეს მასალები დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებს დედამიწის წარსულის ბოლო მონაკვეთის, ანუ მეოთხეული პერიოდის გამოცანების ამოცნობაში. ასე რომ, შენ სასარგებლო საქმის გაკეთებაც შეგიძლია.





განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ათვალიერო მღვიმის ჭერი და კედლები. ვინ იცის, იქნებ პალეოლითული ადამიანის მხატვრობასაც წააწყდე. ამას კი ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის.

რამდენ საიდუმლოს ინახავს ჩვენი მიწისქვეშეთი!?

ქართველი მთამსვლელებისა და არქეოლოგების გაბედულმა ექსპედიციებმა ბევრი მნიშვნელოვანი რამ შესძინა მეცნიერებას. მაგალითად, თრეხვის გამოქვაბულში აღმოაჩინეს ქართული ეპიგრაფიკის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი ისტორიკოსის ლეონტი მროველის წარწერიანი ქვა.

დიდი მოვლენა იყო ლეგენდარული ბეთლემისა და ხვამლის საიდუმლოების გახსნა, რაც სასიქადულო მამულიშვილების – ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების ხელმძღვანელობით განხორციელდა.

ქობთავის მღვიმებში მიკვლეული ხელნაწერთა ფრაგმენტები და აბუხალოს უაღრესად საინტერესო ფრესკები, ბეთლემისა და ხვამლის ქვაბ-სახიზრებში ნაპოვნი ერის მატერიალური და კულტურული ფასეულობანი ხომ თითო საიმედო მარცვალია ერის ისტორიის გრძელ ჯაჭვში, რომელიც, სამწუხაროდ, ავბედობის უამს აქა-იქ წყდებოდა კიდეც.

ვინ იცის, რამდენი ეროვნული განძი, ძვირფასი ხელნაწერი თუ ხელოვნების ნიმუში დაიკარგა უკვალოდ. საფიქრებელია, რომ ბევრი მათგანი მღვიმე-სახიზრებშია დამალული და ელის თავის აღმომჩენებს. ამიტომაც საჭიროა ჩვენი მიწისქვეშეთის, მღვიმებისა და ქვაბ-სახიზრების გეგმაზომიერი, განუწყვეტელი და დაკვირვებული კვლევა. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, როცა საშუალება მოგეცემა, სიცოცხლე დაუბრუნო ერის მატიანის დიდი წიგნიდან გაფანტულ თუნდაც ერთფურცელს.

მაშ, ეძიებდე და ჰპოვებდე...




# კენგურუს არდადეგები

კენგურუმ თავის შვილები  
სწრაფად ჩაისვა ჩანთაში,  
დასასვენებლად წაიყვანს,  
ზღვაზე, სოფელში ან მთაში.  
— ისიც ეყოფათ, ზამთარში  
ჩანთაში რომ ისხდებიან,  
სადმე კურორტზე წავიყვან,  
ზამთრამდე გაკაშდებიან.  
კოდალამ უთხრა კენგურუს:  
— კვალი გატყვია გარჯისო,  
ფეხით გაუშვი ბავშვები,  
ცოტათი გაივარჯიშონ.  
რას დაგყავს ჩანთით, შეხედე,  
ჩემს მშრომელ, ჭკვიან ბიჭებსო,  
აგერ, უმცროსი ბარტყიც კი,  
ერთად ცხრა ჭიას იჭერსო.  
ეწყინა დედა კენგურუს,  
კოდალას უთხრა ბრაზითო:  
— შენი ბარტყები ჯობია  
ჩემს შვილებს, შენი აზრითო?  
არ იცი, რა საშიშია,  
ბავშვი რომ დედას სცილდება?  
მინაზე დავსვა, ასე ხომ  
ფეხები გაუცივდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ  
კენგურუ ძირითადად  
ავსტრალიის კონტინენტზე  
ბინადრობს, ის მთელ  
მსოფლიოში ერთ-ერთ  
უსაყვარლეს ცხოველადაა  
მიჩნეული და საუკეთესო  
დედად ითვლება. ახალშობილი  
მას 6-8 თვის განმავლობაში  
ჩანთით დაჰყავს.

უპასუხეთ კითხვებს და  
ერთად გავარკვიოთ, რა ვიცით  
კენგურუების შესახებ:



## მარადა

ორბგერიანი ყვავილი,  
ჩვენ რითაც წერა ვისწავლეთ,  
თავში დაწერე. შემდეგ რა?  
ნუ ლელავ, არც აქ ინვალებ.  
გაუშლელ ვარდს მოაცილე  
წინა მარცვალი, პატარავ,  
სახელი არის ქართველის,  
ვინც „დედა ენა“ გვასწავლა.

ამ წიგნთან ყველა შეხება,  
ინვევს მშობლიურ სითბოს,  
ვნატრობ, ეს თბილი გრძნობა,  
ამ თაობაშიც იგრძნონ.

## ვისურები

1. დიდ ძუძუმწოვარ ცხოველებს შორის  
კენგურუს ყველაზე პატარა ზომის  
ახალშობილი ჰყავს. მისი სხეულის სიგრძე არ  
აღემატება...

- ა. ზრდასრული კურდღლის სიგრძეს;
- ბ. 25 მილიმეტრს;
- გ. გიგანტური კაქტუსის სიგრძეს.


2. რამდენ წელს ცხოვრობს კენგურუ?

- ა. დაახლოებით, 12 წელს;
- ბ. ერთ საუკუნეს;
- გ. არ კვდება, თუ რამემ არ შეჭამა.


3. რომელი ქვეყნის გერბზეა გამოსახული  
კენგურუ?

- ა. ინგლისის
- ბ. პაპუა-ახალი გვინეის
- გ. ავსტრალიის

მხატვარი ნათალია კუცია



იპოვე, რა შეცდომები  
დაუშვა მხატვარმა!



4. ავსტრალიაში  
პირველად ჩასულმა  
ცნობილმა მოგზაურმა ჯეიმზ  
კუკმა ჰკითხა ადგილობრივ  
აბორიგენებს, რა ერქვა ცხოველს,  
რომელიც ორ ფეხზე დახტოდა. მათ  
უპასუხეს – „კენგურუ“, რაც მათ ენაზე  
ნიშნავდა...

- ა. საუკეთესო ცხოველია;
- ბ. ეს ცხოველი ჩემია;
- გ. არ მესმის.

5. კენგურუებს ძლიერი უკანა ფეხები აქვთ,  
რისი წყალობითაც მათი ნახტომის სიმაღლე  
შეიძლება იყოს...

- ა. სამ მეტრზე მეტი;
- ბ. ეიფელის კოშკის სიმაღლე;
- გ. განუსაზღვრელი.

# ლელა უსათუოლი მორჩიება



სოროს შესასვლელთან მდგარ სასონარკვეთილ პატარა წრუნუნა მიკრობას ვერაფრით გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო: კიდევ ერთხელ ყურადღებით გაეჩჩრიკა სახლის კუთხე-კუნჭული, იქნებ, რაიმე კბილჩასაჭიდისთვის მიეგნო, თუ ისევ ხელ-ცარიელი დაბრუნებულიყო შინ.

მიკრობას, რომელსაც ეს უცნაური სახელი მომცრო ტანის გამო დიდმა პაპამ შეარქვა, მესამე კვირაა, დედა ავად ჰყავს. წევს ძონძებში გახვეული სნეული და მაღალი სიცხისგან გათანგული საკვებს ითხოვს, უფრო ხშირად კი – წყალს. როგორ უნდა მოიქცეს პატარა წრუნუნა, რომელიც მინაზე ხეირიანადაც არ ჩანს, რა წყალში გადავარდეს, დედას რომ უშველოს?! მიუხედავად დიდი საშიშროებისა, კიდევ ერთხელ შემოირბინა მთელი სახლი. სამზარეულოში თეთრ კარადასაც ბევრი უტრიალა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მოხარშული ვერმიშელის პატარა ნარჩენის გარდა ვერაფერს მიაგნო. რა უნდა ექნა?! განბილებული შინ დასაბრუნებლად გაემზადა, მაგრამ ამ კუდს რაღა ეტაკა,

ძვრა რომ ვერ უყო? ბოლოს უკან მოიხედა და ვაი თქვენს მტერს, რაც იმან დაინახა: კატა ვასასის გაპლვიძებოდა და მიკრობას კუდს განძრევის საშუალებას არ აძლევდა. წრუნუნა ჯერ წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა, მაგრამ რა წინააღმდეგობაზეა ლაპარაკი, როცა უშველებელი, გაალმასებული კატა თვალს არ აცილებდა. ანდა რისთვის უნდა ცდილიყო გადარჩენას; არ ერჩია, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოღებოდა მის წვალებასა და გაჭირვებას? შეიძლება, ასეც ჯობდა, მაგრამ ავადმყოფ მშობელს ვინ უპატრონებდა, წყალს მაინც ვინ მიაწვდიდა? ამის გაფიქრებამ გული აუჩუყა და პატარა მწარედ ატირდა. ეს ჩვენთვის, ადამიანებისთვის არის თაგვების წრიპინი აუტანელი და სრულიად გაუგებარი, თორემ ბევრის მნახველი ჭარმაგი კატისთვის ყველაფერი ნათელი იყო. ვასასიმ კარგად შეათვალიერა მის წინ მდგარი აჩაჩულ-დაჩაჩული წრუნუნა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა მოუვლელობა და პირველად თავის სიცოცხლეში შეეცოდა სათავეთის გვარის წარმომადგენელი. ყურა-



დღებით მოისმინა გაჭირვებაში ჩავარდნილი მიკრობას ამბავი და იგრძნო, რომ გული მასაც ჰქონდა. ერიჰა! ეტყობა, სიბერემ დარია ხელი, თორემ ადრე თათის ერთი დარტყმით მოუმთავრებდა ხოლმე საქმეს მის საბრძანებელში შეპარულ დაუპატიუებელ სტუმრებს.

რამდენიმე წუთში დაბრუნდა ვასასი. პატარა ქალალდის პარკში აკურატულად ჩაეწყო სამიოდე კაკალი, ხუთი ცალი თხილი, ლორისა და ყველის მოზრდილი ნაჭრები და მუჭაზე მეტი ქარვასავით ყვითელი სიმინდი. მიკრობა თვალებს არ უჯერებდა, თავი სიზმარში ეგონა. წუთუ ამხელა სიმდიდრეს მისი ოჯახისთვის იმეტებდა ვასასი? ვაშა! ახლა ნამდვილად მოარჩენს და ფეხზე წამოაყენებს დედას. სანამ შინისკენ მოჰკურცხლავდა, წრუნუნა იქვე წამოწოლილ, ვითომ ჩაძინებულ კატას კისერზე ააცოცდა, ორივე თვალი ამოუკოცნა და გახარებულმა სოროში დურთა თავი.

## მაკა კვაჭაძე

# საქანელა

მამამ ანას კაკლის ხეზე  
ჩამოუბა საქანელა  
და მას მერე ანა მთელ დღეს  
აქანდება, ჩაქანდება.  
დგანან რიგში მეგობრები –  
ანას როდის მობეზრდება?  
ის კი სულაც არ აპირებს,  
სხვას დაუთმოს საქანელა.  
და როდესაც ანა ისევ  
აქანდება, დაქანდება,  
მიხვდება, რომ მარტო დარჩნენ  
ის და მისი საქანელა.



# ურჩი ციყვი




დღეს ციყვები ქეიფობენ,  
სუფრაზე აქვთ რკო და თხილი.  
ტყეს აყრუებს ირგვლივ მათი  
ხარხარი და შეძახილი.  
სუფრის თავში ნაცარა ზის,  
სუფრის ბოლოს ჟღალი ციყვი,  
დაბადების დღეს ზეიმობს  
მათი შვილი – ურჩი, ბრიყვი...  
ერთ ადგილზე ვერ ისვენებს,  
დახტის, ბრუნავს ყირამალა,  
მაგიდიდან რკო და თხილი  
ერთიანად გადმოყარა.  
აღარ ესმის დარიგება  
არც დედის და აღარც მამის:  
ხან ხის ტოტზე დაეკიდა,  
ხან მოიგდო ზურგზე სკამი.  
მერე სტუმრებს დაერია –  
მათთვისაც კი დრო იპოვა,  
ყველას ზურგზე შეაყარა  
გადამხმარი ფოთლის გროვა.  
მაგრამ განა აპატიეს  
ციყვუნებმა ქცევა ცუდი?!  
დაიჭირეს და თავნება  
ჩამოკიდეს ხეზე კუდით.

## მხატვარი მარიამ სუათაშვილი



ქართული  
ნალექო  
საზოგადოებრივი



ვისიგორის ხარ,  
ხომგახსოვს?


## ჭარვები

უკეთგიამბობს!

მოამზადა  
ნინი ორველმა



## სიცუვების ზარახაშია



ამოსსენი კროსვორდი და  
ისრით მიღინდებულ მცენივში  
ამოიკითხე დრუჟლიანი  
ცივი დღის ძველი ძართული  
სახელწოდება:

1. კარგის საპირისპირო;
2. დიდი ჩაქუჩი;
3. გაზაფხულის თვე;
4. ლომის კისრის ბალანი;
5. გაზრდილი ფისო;
6. ასასვლელ-ჩასასვლელი.

გამოსქვერ  
აუქნალი  
„ღილა“

დარეკეთ ან  
მიაკითხეთ პრესის  
გავრცელების  
სააგენტოს elva.ge  
238 26 73; 238 26 74

იპოვეთ, რამდენი სასწავლო ნივთია გაძნეული ნახატში. სწორედ ამდენი თვით თუ გამოიწერთ „დილას“, კურიერი ერთი წლის განმავლობაში სახლში მოგართმევთ ჟურნალს.

უზრნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოლო ნიკოლოვა  
ნახატი ყდაზე: იულია ნიკოლოვასი  
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77  
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com,  
facebook: საპატიო გამოცემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი



ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.



საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო